



განათლების საერთაშორისო ცენტრი
INTERNATIONAL EDUCATION CENTER



განათლების საერთაშორისო ცენტრის
2016 წლის ანგარიში

განათლების საერთაშორისო ცენტრი არის საქართველოს მთავრობის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. განათლების საერთაშორისო ცენტრი შექმნილია საჯარო სამსახურში დასაქმებულ და დასაქმების მსურველ პირთა საჯარო სამსახურის ეფექტიანობის, აუცილებელი სპეციალური ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების, საქართველოში საერთაშორისო განათლების ხარისხის, საერთაშორისო სასწავლო აკადემიური პროგრამების, საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ცენტრი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი მუშაობას წარმართავს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, არსებული (მოქმედი) საკანონმდებლო აქტებით, დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

ცენტრი ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან/და მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს, შემდეგი ძირითადი პრინციპების დაცვით: კანონიერება, პროფესიონალიზმი, გამჭვირვალობა.

სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი საქმიანობას ახორციელებს ცენტრის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.

განათლების საერთაშორისო ცენტრი დაარსდა 2014 წელს. ცენტრის მისიაა წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და დემოკრატიულ განვითარებაში საქართველოში განათლების ხარისხის ამაღლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების გზით.

მოახმარე პნი ყოქრა საქართველოს!

 ცენტრის იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. № 7.





2016 წლის განმავლობაში აკადემიური პროგრამებისა და საერთაშორისო პროექტების სამსახურის მიერ განხორციელდა შემდეგი სასტიპენდიო პროგრამები:

1. სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში 2016-2017;
2. საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა 2016;
3. საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა 2016-2017;
4. საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამები 2016-2017.



სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში 2016-2017

პროგრამა დამტკიცებულია სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2015 წლის 16 დეკემბრის N 24-15 ბრძანებით სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის - „სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში 2016-2017“ დამტკიცების შესახებ.

კონკურსის წესით დაფინანსდა საქართველოს 17 მოქალაქე საფრანგეთში, შესაბამისი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მიზნით. საბოლოოდ გრანტის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა 16 დაფინანსებულმა პირმა პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულად განსაზღვრულ შემდეგი პროგრამული მიმართულებებზე სწავლის მიზნით:

- ▶ განათლება **1**
- ▶ სოციალური მეცნიერებები **4**
- ▶ ჰუმანიტარული მეცნიერებანი **2**
- ▶ სამართალი **2**
- ▶ საჯარო მმართველობა **2**
- ▶ მენეჯმენტი **5**





საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა 2016

პროგრამა დამტკიცებულია სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამების - „საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა 2016-2017“ და „საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა 2016“ დამტკიცების შესახებ“ ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2016 წლის 26 აპრილის N10-16 ბრძანებით.

არაუმეტეს 3 თვის ხანგრძლივობის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაზე სწავლის მიზნით კონკურსის წესით დაფინანსდა საქართველოს 7 მოქალაქე შემდეგი ქვეყნებში:

- 📍 დიდი ბრიტანეთი **2**
- 📍 გერმანია **2**
- 📍 ნიდერლანდები **1**
- 📍 პოლონეთი **1**
- 📍 აშშ **1**



საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა 2016-2017

პროგრამა დამტკიცებულია სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამების - „საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა 2016-2017“ და „საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა 2016“ დამტკიცების შესახებ“ ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2016 წლის 26 აპრილის N10-16 ბრძანებით.

2016-2017 აკადემიური წლისთვის კონკურსის წესით სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლის მიზნით დაფინანსდა საქართველოს 56 მოქალაქე.

სადოქტორო პროგრამა - სულ დაფინანსდა 7

ა) სტატისტიკა პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულად განსაზღვრული პროგრამული მიმართულებების მიხედვით:

- ▶ სოციალური მეცნიერებები **3**
- ▶ მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი **2**
- ▶ ჰუმანიტარული მეცნიერებანი **1**
- ▶ განათლება **1**

ბ) სტატისტიკა ქვეყნების მიხედვით:

- 📍 აშშ **2**
- 📍 გერმანია **2**
- 📍 ესპანეთი **1**
- 📍 ნიდერლანდები **1**
- 📍 შვეიცარია **1**

სამაგისტრო პროგრამა – სულ დაფინანსდა 49

ა) სტატისტიკა პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულად განსაზღვრული პროგრამული მიმართულებების მიხედვით:

- ▶ სამართალი **14**
- ▶ სოციალური მეცნიერებები **12**
- ▶ საჯარო მმართველობა **7**
- ▶ არქიტექტურა **3**
- ▶ მენეჯმენტი **3**
- ▶ განათლება **3**
- ▶ ინჟინერია **3**
- ▶ მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი **2**
- ▶ ჰუმანიტარული მეცნიერებანი **2**

ბ) სტატისტიკა ქვეყნების მიხედვით:

- 📍 დიდი ბრიტანეთი **19**
- 📍 აშშ **9**
- 📍 გერმანია **4**
- 📍 ესტონეთი **3**
- 📍 ჩეხეთი **3**
- 📍 იტალია **2**
- 📍 ნიდერლანდები **2**
- 📍 უნგრეთი **2**
- 📍 იაპონია **1**
- 📍 ისრაელი **1**
- 📍 ლიტვა **1**
- 📍 შვედეთი **1**
- 📍 შვეიცარია **1**





საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამები 2016-2017.

პროგრამა დამტკიცებულია „სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამების - „საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამები 2016-2017“ დამტკიცების შესახებ“ ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2016 წლის 31 მაისის N11-16 ბრძანებით.

2016-2017 აკადემიური წლისთვის კონკურსის წესით პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის მიზნით დაფინანსდა საქართველოს 7 მოქალაქე.

ა) სტატისტიკა პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულად განსაზღვრული პროგრამული მიმართულებების მიხედვით:

- ▶ ხელოვნება **5**
- ▶ რესტავრაცია/კონსერვაცია **2**

ბ) სტატისტიკა ქვეყნების მიხედვით:

- 📍 იტალია **2**
- 📍 აშშ **1**
- 📍 დიდი ბრიტანეთი **1**
- 📍 საფრანგეთი **1**
- 📍 გერმანია **1**
- 📍 ავსტრია **1**



განათლების
საერთაშორისო ცენტრი

სახელოვნებო პროგრამა

2016-2017
სახსრავლო წლისთვის

სახელოვნებო სამაგისტრო და
სადოქტორო პროგრამებზე

**საზღვარგარეთ სწავლის
გაგრძელების მსურველთა
განაცხადების მიღება**





მიმდინარე გრანტის მფლობელები

გასულ წლებში დაფინანსებულ სტიპენდიანტებს, რომლებიც ჩარიცხულნი არიან ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობის სხვადასხვა აკადემიური პროგრამებზე, შესაბამისი მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე დაფინანსება გამოეყოთ 2016-2017 აკადემიური წლისათვის.



სულ დაფინანსდა - 39

- ✓ აღნიშნული პროგრამების პოპულარიზაციისა და დაინტერესებული პირებისთვის საკონკურსო პირობების, პროგრამული პრიორიტეტებისა და შერჩევის პროცესის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით გაიმართა შეხვედრები რეგიონული უნივერსიტეტების სტუდენტებთან - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტსა და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები თბილისში.
- ✓ ასევე, სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის დირექტორმა ნინო ჭელიძემ და დირექტორის მოადგილე რატი ბრეგაძემ „მწერალთა სახლში“ მედიის წარმომადგენლებს ცენტრის სასტიპენდიო პროგრამები და მომავალი გეგმები გააცნეს.



- ✓ განათლების საერთაშორისო ცენტრში სასტიპენდიო პროგრამების კონკურსში მონაწილეთა უფლებების დაცვის მიზნით დაინერგა აპლიკანტთა უფლებების დამცველის ინსტიტუტი.

გერმანელმა ექსპერტმა და უფლებადამცველმა მარიო შუტცემ სხვადასხვა ეტაპზე კონკურსიდან გამოთიშულ აპლიკანტებთან საინფორმაციო შეხვედრები გამართა, სადაც განუმარტა შეფასების პროცესთან დაკავშირებული საკითხები, განიხილა აპლიკანტთა განცხადებები და ცენტრის ადმინისტრაციისა და შესარჩევ კომისიის რეკომენდაციებით მიმართა.



- ✓ განათლების საერთაშორისო ცენტრმა საერთაშორისო პროგრამების სხვადასხვა თაობის სტუდენტთა შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით სტიპენდიანტთა ორდლიანი ფორუმი გამართა.

ფორუმში მონაწილეობა მიიღეს როგორც კურსდამთავრებულმა სტუდენტებმა, ასევე მიმდინარე გრანტის მფლობელმა და 2016-2017 სასწავლო წლის კონკურსის გამარჯვებულმა სტიპენდიანტებმა.



ორდღიანი ფორუმის განმავლობაში სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ ცენტრის მიმდინარე პროგრამებსა და დაგეგმილ პროგრამულ ცვლილებებს, ახალ პროექტებსა და ინიციატივებს. ფორუმის მსვლელობისას, 2016-2017 სასწავლო წლის პროგრამის გამარჯვებულები შეხვდნენ ცენტრის კურსდამთავრებულ და მიმდინარე გრანტის მფლობელ სტიპენდიანტებს, კომისიის წევრებს (სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს) და ცენტრის ადმინისტრაციასთან ერთად განიხილეს პროგრამის ბენეფიციარების უფლება-მოვალეობები. კურსდამთავრებულებმა სტიპენდიანტთა ახალ ნაკადს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროცესის თავისებურებები, ჯგუფურად იმუშავეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: უცხოეთში სწავლის დაგეგმვისა და სასწავლო პროგრამების შერჩევის სპეციფიკა, სასწავლო პრაქტიკის გავლა, კვლევის თემატიკის განსაზღვრა, სწავლის შემდგომ სამსახურის მოძიება საქართველოში და სხვა.





ფორუმმა ორი დღის განმავლობაში სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს 8 სესია შესთავაზა. სესიების ფორმატი ითვალისწინებდა როგორც პრეზენტაციასა და პანელს, ასევე ჭკუფურ მუშაობას „ღია სივრცეში“ (Open Space Technology), სადაც განსახილველი საკითხის წამოჭრა და თემატიკის განსაზღვრა თავად სტიპენდიანტებს შეეძლოთ. ორდღიანი ფორუმის განმავლობაში დაგეგმილმა შეხვედრებმა, სესიებმა და ღონისძიებებმა ცენტრის ახალბედა სტიპენდიანტები საერთაშორისო აკადემიური გამოწვევებისთვის, ხოლო მიმდინარე გრანტის მფლობელები და კურსდამთავრებულები დასაქმებისა და ურთიერთთანამშრომლობის პროგრამებში აქტიური მონაწილეობისათვის მოამზადა.



განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიანტთა ფორუმს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჭეჭელავაც დაესწრო.



**2016 წელს გადაწყდა, რომ FULBRIGHT-ის აკადემიურ
გაცვლით პროგრამას საქართველოს მხრიდან
განათლების საერთაშორისო ცენტრი განახორციელებს.**

ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსთან სტრატეგიულ პარტნიორობას აფართოებს - ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ მნიშვნელოვან დოკუმენტებს მოაწერეს ხელი.

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის საგანმანათლებლო თანამშრომლობის სფეროში ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც:

- ✓ ხელს შეუწყობს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობას;
- ✓ აფართოებს Fulbright-ის აკადემიურ გაცვლით პროგრამას;
- ✓ ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო ურთიერთობების წახალისებას სტიპენდიებისა და აკადემიური გრანტების გამოყოფისა და გაცვლითი პროგრამების შეთავაზებით;

პროგრამას საქართველოს მხრიდან განახორციელებს **განათლების საერთაშორისო ცენტრი**, აშშ-ის მხრიდან კი მისი პარტნიორი იქნება განათლების საერთაშორისო ინსტიტუტი;

**საქართველოსა და აშშ-ს შორის
საგანმანათლებლო თანამშრომლობა
ძლიერდება**

- ✓ FULBRIGHT-ის აკადემიური გაცვლითი პროგრამის გაფართოება
- ✓ უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობა
- ✓ აკადემიური სტიპენდიები და გრანტები

მაი 2016



საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ დაფინანსებულ 20 სტუდენტს შეხვდა, რომლებიც სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე, მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში ისწავლიან. მთავრობის მეთაურმა ახალგაზრდებს მიღწეული წარმატება მიულოცა და აღნიშნა, რომ ცოდნა და გამოცდილება, რომელსაც ისინი შეიძენენ, ქვეყანას გამოადგება. პრემიერ-მინისტრი მოხარულია, რომ განათლების საერთაშორისო ცენტრი ფაქტობრივად აღიარა ისეთმა პროგრამებმა, როგორიცაა „ფულბრაიტი“; თანადაფინანსების სქემაში ჩაერთო საფრანგეთი და სავარაუდოდ ანალოგიურ გადაწყვეტილებას გერმანიაც მიიღებს. გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, სწორი იყო გადაწყვეტილება, რომლითაც სტუდენტებს, სწავლის დასრულების შემდეგ, საჯარო სექტორში დასაქმების ვალდებულება მოეხსნათ.

„თუმცა, ჩვენ საჯარო სექტორში თითოეულ თქვენგანს მივესალმებით. უბრალოდ, არ გვინდოდა, ეს ვალდებულება ყოფილიყო, ვინაიდან, ვფიქრობთ, რომ კერძო სექტორში დაბრუნების შემთხვევაშიც თქვენ შექმნით მნიშვნელოვან ფასეულობას ქვეყანაში. ვფიქრობ, ეს არის ასევე დიდი გამოწვევა თქვენს ცხოვრებაში, რომელსაც ძალიან დიდი წარმატებით გაართმევთ თავს. როგორც საჯარო სექტორში,



ისე კერძო სექტორში თქვენი მთავარი პრომოუტერები ვიქნებით ჩვენ, ვინაიდან დარწმუნებული ვარ, თითოეული თქვენგანი იქნება ძალიან დიდი შენაძენი, როგორც სახელმწიფო ინსტიტუციებისთვის, ისე ნებისმიერი კერძო კომპანიისთვის», - მიმართა პრემიერ-მინისტრმა სტუდენტებს. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. გიორგი კვირიკაშვილმა ახალგაზრდებს საერთაშორისო უნივერსიტეტში სწავლის საკუთარი გამოცდილება გაუზიარა და, შემდგომი კომუნიკაციის მიზნით, ახალგაზრდებს პირადი ელექტრონული ფოსტის მისამართიც მისცა.

საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი ლევან ბატიაშვილი გამოვიდა წინადადებით, იმ სტუდენტებმა, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლობენ, სადოქტორო ნაშრომის თემად საქართველო აირჩიონ. პრემიერ-მინისტრი აღნიშნულ იდეას მიესალმება და მიიჩნევს, რომ ეს ხელს შეუწყობს სხვადასხვა მიმართულებით ღრმა კვლევების განხორციელებას, რაც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. „ჩვენი მხრიდან მაქსიმალური ხელშეწყობა გექნებათ, როგორც ინფორმაციის წვდომის, ადამიანური რესურსის დახმარების თვალსაზრისითაც», - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტზე სასწავლებლად მიემგზავრება ვიოლეტა ასლანოვა, რომელიც ელექტრონული მმართველობის სისტემით არის დაინტერესებული.



პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს არის ძალიან საჭირო პროფესია და ისაუბრა მთავრობის ერთიანი ფრონტოფისის შექმნის კომპლექსური რეფორმის შესახებ, რომელიც უახლოეს მომავალში შეიქმნება. გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით, ის მომსახურება, რასაც იუსტიციის სახლი დღეს ფიზიკურ პირებს უწევს, ყველა იურიდიულ პირზე გავრცელდება და ნებისმიერი სერვისის მიღება ფიზიკურად ერთ სივრცეში, ერთი ფანჯრის პრინციპით იქნება შესაძლებელი. პარალელურად, შეიქმნება ციფრული სივრცე, სადაც, ელექტრონული მმართველობის პროგრამის პლატფორმის ქვეშ, ეს ყველაფერი ხელმისაწვდომი იქნება.

პრემიერ-მინისტრმა სტუდენტებს, საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით ურჩია, გაანალიზონ დრო სწავლაზე, დასვენებასა და იმ ქვეყნის შეცნობაზე, სადაც მიემგზავრებიან, რათა საუკეთესო შედეგი მიიღონ. „დარწმუნებული ვარ, ყველა თქვენგანი იქნება ძალიან წარმატებული. იცოდეთ, რომ თქვენი ქვეყანა გელოდებათ სულმოუთქმელად, როდის დაბრუნდებით და ჩაერთვებით იმ





ძალიან მნიშვნელოვანი განვითარების პროცესში, რომლის ძალიან სერიოზული გეგმები ჩვენს გუნდს აქვს. გპირდებით, დაგხვდებით საქართველო, საზოგადოება, რომელიც იქნება ნაკლებად კონფრონტაციული, გაცილებით მეტად ორიენტირებული უკეთესი მომავლის შენებაზე. გვაქვს ძალიან საინტერესო გეგმები, როგორც განათლების, ისე ეკონომიკის განვითარების კუთხით. მომავალ ოთხ წელიწადში ვგეგმავთ, 5 მილიარდ დოლარამდე დამატებითი რესურსი დაიხარჯოს ქვეყნის მოდერნიზებაში და ეს იყოს არა ისეთი ფული, რომელიც პოპულისტურ პროექტებში დაიხარჯება, არამედ თითოეული დოლარი დაიხარჯოს ეკონომიკური უკუგების მქონე პროექტებში. ეს იქნება ჩვენი ქვეყნის წარმოუდგენელი ტრანსფორმაცია და დამერწმუნეთ, ამ პროცესში ყველა თქვენგანის ცოდნა და გამოცდილება გამოსადეგი იქნება», - მიმართა პრემიერ-მინისტრმა სტუდენტებს.



განათლების საერთაშორისო ცენტრმა სტიპენდიანტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით „დასაქმების ფორუმი 2016“ გამართა. ფორუმში მონაწილეობა მიიღო 40-მდე ახალგაზრდამ, რომელთაც ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით უცხოეთში აკადემიური (სამაგისტრო და სადოქტორო) ხარისხი მოიპოვეს.





აპლიკანტებით ფორუმზე სულ 40-მდე კერძო და სახელმწიფო ორგანიზაცია დაინტერესდა. ისინი გაესაუბრნენ ახალგაზრდებს, რომლებმაც განათლების საერთაშორისო ცენტრის დახმარებით უცხოეთში მიიღეს განათლება.

კურსდამთავრებულებს საშუალება მიეცათ პირადად გაცნობოდნენ სამინისტროების, სსიპ-ების, ქართულ ბაზარზე მოქმედი წამყვანი კომპანიების წარმომადგენლებს, დაესვათ მათთვის კითხვები, მიეწოდებინათ ინფორმაცია საკუთარი კანდიდატურის შესახებ.

ფორუმის ფარგლებში, მოენყო განათლების საერთაშორისო ცენტრის „კურსდამთავრებულთა თანამშრომლობის პროგრამის სტრატეგიის“ განხილვაც. ფორუმზე მონაწილე იყვნენ როგორც ახალდაბრუნებული, ასევე უკვე დასაქმებული კურსდამთავრებულები.



საჯარო სამსახურის მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, 2014 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია. 2015 წელს კი, დამტკიცდა საქართველოს კანონის საჯარო სამსახურის შესახებ, რომელიც 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება.



მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, განათლების საერთაშორისო ცენტრი განისაზღვრა, როგორც რეფორმის მხარდამჭერი ერთერთი ძირითადი ორგანიზაცია და საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების პლატფორმის შექმნა დაევალა.

პლატფორმა, საჯარო სამსახურში დასაქმებული მოხელეებისა და ტრენინგ პროვაიდერისათვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ჩამოყალიბდება, რომელიც კოორდინაციას გაუწევს საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების პროცესს.



ცენტრის დებულების თანახმად, მის ერთერთ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების სამსახური, რომლის ფუნქციებია:

- ✓ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების პროგრამების სტანდარტების და პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა (პროგრამების ვალიდაცია);
- ✓ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების პროგრამების ტრენერთა საქმიანობის სტანდარტების და ტრენერთა ვალიდურობის დადგენა;
- ✓ მენტორთა ჯგუფის მომზადების უზრუნველყოფა, რომელიც განახორციელებს საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების პროგრამების ტრენერთა დახელოვნებას, მათი საქმიანობისა და საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელების მონიტორინგს;



დასახული მიზნების შესაბამისად ცენტრმა შეისწავლა საქართველოში საჯარო სამსახურის სფეროში განხორციელებული კვლევები, ჩაატარა სახელმწიფო სტრუქტურებთან არსებული სასწავლო ცენტრების პროგრამების და მათ მიერ საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების მიზნით განეული ხარჯების ანალიზი. შესწავლილ იქნა 12 ქვეყანაში არსებულ სა-ჯარო მოსამსახურეთა სკოლების ფუნქციონირების გამოცდილება (უკრაინა, სომხეთი, გერმანია, საფრანგეთი, პოლონეთი, ფინეთი, ლიტვა, ლატვია, ავსტრია, ჩინეთი, პოლანდია, სლოვენია).

სამუშაო ვიზიტები განხორციელდა აზერბაიჯანში, ფინეთში, მონტენეგროში, პოლონეთში, ლატვიასა და გერმანიაში. შეიქმნა საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების სისტემის კონცეპტუალური ხედვა, რომელიც ცენტრის წარმომადგენლებმა გააცნეს სახელმწიფო სასწავლო ცენტრების, სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს. განათლების საერთაშორისო ცენტრსა და საჯარო სამსახურის ბიუროს შორის გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი. ცენტრის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი. დადგენილების პროექტის შემუშავების პროცესში აქტიურად ჩაერთო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)-ის პროგრამის ფარგლებში სამუშაო ვიზიტით მოწვეული ბერლინის ადმინისტრირების აკადემიის დირექტორი ვოლფგანგ შიროკი. მოწვეულმა ექსპერტმა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები და რეკომენდაციები მიაწოდა სამუშაო ჯგუფს. ცენტრის წარმომადგენლებმა დადგენილების პროექტი გააცნეს სახელმწიფო სასწავლო ცენტრების, სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს და მიიღეს მათგან რეკომენდაციები და შენიშვნები. დადგენილების პროექტი ასევე განხილულ იქნა SIGMA-ს ექსპერტებთან ერთად, რომლებმაც ასევე წარმოადგინეს რეკომენდაციები და შენიშვნები.

ამჟამად, საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში, სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს გაეროს ოფისთან. გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ვალიდაციის ექსპერტის დაქირავება.

განათლების საერთაშორისო ცენტრისა და ტრენინგების მომწოდებელი ესტონური ორგანიზაცია „Praxis“-ის თანამშრომლობის შედეგად, ესტონურმა მხარემ ერთობლივად განსახორციელებელი პროექტისთვის მოიპოვა ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსება. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს მოლაპარაკებები ერთობლივი პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისა და თემატიკის განსაზღვრასთან დაკავშირებით.



- ✓ საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების პლატფორმის შექმნის საფუძვლად იქცა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროსა და სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრს შორის.

აღნიშნულ მემორანდუმს ხელი მოაწერეს სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო ჭელიძემ და საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსმა ეკატერინე ქარდავამ.

მემორანდუმის მიზანია, ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების თანმიმდევრული და მკაფიოდ ორგანიზებული სისტემის ჩამოყალიბება და სწავლებისა და სწავლების სისტემის შეფასებისათვის შესაბამისი სტანდარტების განსაზღვრა.

მემორანდუმის ფარგლებში საჯარო სამსახურის ბიურო განახორციელებს საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების საჭიროებების პერიოდულ მოკვლევას და მის საფუძველზე მოპოვებულ ინფორმაციას მიაწვდის განათლების საერთაშორისო ცენტრს. განათლების საერთაშორისო ცენტრი საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების მიზნით, შეიმუშავებს და დანერგავს სასწავლო პროგრამების, ტესტირებისა და შეფასების სტანდარტებს.

- ✓ საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების პლატფორმის შექმნაში ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით განათლების საერთაშორისო ცენტრს ბერლინის ადმინისტრირების აკადემიის დირექტორი, ექსპერტი ვოლფგანგ შიროკი ეწვია. განათლების საერთაშორისო ცენტრის თანამშრომლებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფმა გერმანელ ექსპერტთან ერთად ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების ორგანიზებული სისტემის ჩამოყალიბებასა და სწავლების სისტემის შეფასებისათვის შესაბამისი სტანდარტების შემუშავებაზე იმსჯელეს.

ვიზიტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრები გაიმართება მთავრობის ადმინისტრაციის, საჯარო სამსახურის ბიუროს, საფინანსო ანალიტიკური სამსახურისა და ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის წარმომადგენლებთან.

აღნიშნული პროექტი „კერძო და ადმინისტრაციული სამართლის სისტემის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“ განხორციელდა GIZ-ის „ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოების“ პროგრამის მიერ.

2016 წლის 10 აგვისტოს, სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის ინიციატივით «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებებით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა. შეხვედრას სამინისტროების, სახელმწიფო და კერძო სასწავლო ცენტრებისა და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო ჭელიძემ და დირექტორის მოადგილემ რატი ბრეგაძემ საჯარო განხილვის მონაწილეებს დეტალურად გააცნეს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი. პროექტის გარშემო დისკუსია გაიმართა, შეხვედრის მონაწილეებმა საკუთარი შენიშვნები და მოსაზრებები გამოთქვეს, მათი ნაწილი პროექტის ავტორებმა გაიზიარეს.



 ცენტრის სამართლებრივი მხარდაჭერა:

- ✓ მთავრობის განკარგულებებისა და დადგენილებების პროექტების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადება და დამტკიცება, მათ შორის:
 - ✓ ცენტრის დებულება, საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი;
 - ✓ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის პროექტის შემუშავება;
 - ✓ ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები;
 - ✓ საქმისწარმოების ინსტრუქცია;
 - ✓ შრომის შინაგანანესი;
 - ✓ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი;
 - ✓ დანამატის განსაზღვრის წესი;
 - ✓ სასტიპენდიო პროგრამები.
 - ✓ საქართველოს საერთო სასამართლოებში ცენტრის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა (7 საქმე);
 - ✓ საგრანტო ხელშეკრულებების პროექტის შემუშავება მემორანდუმების სამართლებრივი ანალიზი;
 - ✓ დაინტერესებული პირების სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებული კორესპონდენციის განხილვა, ასევე ზეპირი კონსულტაციები;
 - ✓ ცენტრის თანამშრომელთა (საშტატო, შტატგარეშე) სამუშაო აღწერილობის შემუშავება და ხელშეკრულებების გაფორმება;
 - ✓ ცენტრის თანამშრომლების დანიშვნის, შვებულებების და მივლინებების, ასევე წახალისების შესახებ ბრძანების პროექტების მომზადება; ცენტრის მიზნების განსახორციელებლად შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოწესრიგება;
 - ✓ შუამდგომლობა სს - საქართველოს ბანკთან ცენტრის ბენეფიციარებისთვის სესხის გამოყოფის თაობაზე.
-  **ცენტრის პერსონალის მართვისა და საქმისწარმოების ორგანიზება;**
- ✓ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (e-flow) სისტემის დანერგვა და ადმინისტრირება;

- ✓ ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის (HRMS) დანერგვა და ადმინისტრირება;
- ✓ ცენტრის თანამშრომელთა პირადი საქმეების და მონაცემთა ბაზის სრულყოფა;
- ✓ ცენტრის თანამშრომელთა შერჩევის უზრუნველყოფა და ამ მიზნით ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის გამოცხადება საჯარო ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე;
- ✓ ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფა;
- ✎ **ცენტრის საფინანსო-ეკონომიკური, სამეურნეო და საბუღალტრო საქმიანობის წარმართვა;**
- ✓ ცენტრის ერთიანი ბიუჯეტის პროექტის შემუშავება, დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების კოორდინაცია და მართვა;
- ✓ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფინანსური ანგარიშგების უზრუნველყოფა;
- ✓ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელება;
- ✓ ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებებისა და სხვა ქონების აღრიცხვა და ინვენტარიზაცია
- ✓ ცენტრის ფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად;
- ✓ მომდევნო წლის წლიური სახელმწიფო შესყიდვების გეგმის პროექტის შედგენა;
- ✎ **ცენტრის სტრუქტურული ერთეულების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;**
- ✎ **საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;**
- ✎ **ცენტრის თანამშრომლების საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებში სამსახურებრივი მივლინებების ვიზიტების ორგანიზაციული უზრუნველყოფა.**

2016 წელს, სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან გამოეყო 6 500 000 ლარი. ცენტრის მიერ განხორციელებულმა საკასო ხარჯმა 2016 წლის 8 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 4 792 940 ლარი. მათ შორის, 101 ბენეფიციართან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში გადაირიცხა 4 270 515 ლარი.



The National Jazz Museum in Harlem
International Jazz Day

GIORG MIKADZE

JULIUS RODRIGUEZ

LINDA OH

PATRICK BARTLEY

JEFFERY MILLER

Nura
Kobakhidze

Graduation Recital
Friday 8

Blue Note
NEW YORK

After Montenegro's NATO Georgia's Should Be Next



THE FLETCHER SCHOOL
TUFTS UNIVERSITY

A Graduate School of International Affairs

ABOUT | ADMISSIONS | ACADEMICS | CAREER SERVICES | STUDENTS | RESEARCH | NEWS & MEDIA | ALUMNI

MALD

Transforming Students
Transforming The World

CURRENT MALD STUDENTS

Zviad Adzhishvili, 2015, Georgia



An Inside Look at Two Fletcher Courses: I would like to highlight two of my four outstanding classes: National Security Decision Making by Professor Michael McFaul and Role of Force in International Politics by Professor Richard Shultz. I find these classes extremely helpful in better understanding international security architecture within its multidimensional context. In addition, studying processes of decision as well as policy making are inseparable parts of our academic work. Study groups, class discussions, interactions with experienced professors, a myriad of outstanding networking events, and guest speakers make these two courses really distinguished among other admirable ones. I recently had Mr. Denis Chikeli, former Assistant Secretary of Defense, speak about the " Syria Red Line". Personally meeting with the senior administrator after reading the newly-published book on the same topic of Syria, helped me have much deeper insight into such a pressing worldwide issue.

More information
18 APPLY AN APPLICATION

Sharing Your Degree
Our Students and Alumni
Current MALD students
Former Opportunities
Applying to the MALD
MALD FAQs
Who Fletcher?
About Fletcher

Nikoloz Mikadze
RESPONDENT

Allan Mikadze





გიორგი მიქაძისა და ლეგენდარული ლი რიტანურის კონცერტების სერია

განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიანტი, არაერთი მუსიკალური პრემიის მფლობელი, იამაჰას ჯაზ-არტისტი, ჯაზისა და პოპ-მუსიკის ამომავალი ვარსკვლავი გიორგი მიქაძე, აქტიურად თანამშრომლობს ჯაზისა და თანამედროვე მუსიკის ცოცხალ ლეგენდებთან. 16-დან 21 აგვისტომდე გიორგიმ კონცერტების სერია გაიმართა გრემის მფლობელ და 19-ჯერ ნომინირებულ გიტარისტ - ლი რიტენურთან ერთად, მსოფლიოს ერთ-ერთ სახელგანთქმულ და პრესტიჟულ ჯაზ -კლუბ „ბლუ ნოუტში“ (Blue Note, NY). „ბლუ ნოუტის“ ისტორიულ სცენაზე.

განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიანტი გიორგი მიქაძე ჯაზის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად The National Jazz Museum in Harlem -ში სპეციალური სტუმრის რანგში მიიწვიეს.

გიორგი მიქაძე იამაჰას მუსიკალური კლუბის ოფიციალური წევრი გახდა.

პროექტი - „GIORGI MIKADZE WITH THE STATE ENSEMBLE BASIANI“

პროექტის მუსიკალური ხელმძღვანელია აშშ-ში მოღვაწე პიანისტი და კომპოზიტორი გიორგი მიქაძე, რომელმაც საკუთარი ბენდისა და ანსამბლ „ბასიანისათვის“ სპეციალურად რამდენიმე საავტორო კომპოზიცია შექმნა. ამ მუსიკალურ ექსპერიმენტში ორგანულადაა შერწყმული ქართული ხალხური მუსიკის, ჯაზის, ფანკის, ფიუჟენის, ჰიფ-პოფის, R&B-ის, ელექტრო-აკუსტიკური და მიკროტონალური მუსიკის ელემენტები პროექტის მიზანია ტრადიციული და თანამედროვე მუსიკის სინთეზის შედეგად ახალი, უპრეცედენტო მუსიკალური პროდუქტის შექმნა, უმაღლესი სტანდარტის ვიდეო და აუდიოჩანაწერების მომზადება და მათი მსოფლიო მუსიკალურ ბაზარზე გატანა.

ლევან სონღულაშვილი

ArtPeople Gallery-ის რედაქტორებმა ლევან სონღულაშვილის შემოქმედება განიხილეს და თავიანთ ოფიციალურ ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე ნამუშევრებთან ერთად ინფორმაცია გამოაქვეყნეს, რასაც გამომხატურება მოჰყვა მრავალი ქვეყნის ხელოვანების კრიტიკოსისგან.

ბრუკლინის მუზეუმში ცნობილმა ბრიტანელმა კონცეპტუალისტმა ჯერემი დელერმა თავისი ინსტალაციისთვის განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიანტს ლევან სონღულაშვილს პროექტში თანამშრომლობა შესთავაზა. ნამუშევარი, რომელიც ლევანმა პროექტის ფარგლებში შექმნა, ბრუკლინის მუზეუმის კოლექციაში დაიდო ბინა.

ლევანის ნამუშევარი „მედუზა“ წელს ნიუ იორკის სოთბის სახლში «Take Home A Nude» აუქციონზე აღმოჩნდა და იგი ნიუ იორკელმა არტკოლექციონერმა შეიძინა.

განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიანტი ლევან სონღულაშვილი პოლ ბუტსის გალერეაში

«24 წლის ლევან სონღულაშვილი პოლ ბუტსის გალერეაში გამოფენის ყველაზე ახალგარდა მონაწილეა, თუმცა მისი ნამუშევარი სერიიდან «იდემ ეტ იდემ», რაც ლათინურიდან ერთიდაიგივეს ნიშნავს, ისეთ ცნობილ სახელებთან ერთად გამოიფინა როგორიცაა ოდ ნერდუმი, აარონ ჯონსონი, ლუი როსი და სხვა. გამოფენის კურატორმა სპეციალურად შეარჩია 15 ერთმანეთისგან განსხვავებული შემოქმედი. გამოფენის მთავარი იდეა, რომელსაც «მეოთხე კედელი» ჰქვია, მნახველებსა და მხატვრებს შორის უხილავი ბარიერის, კედლის გარღვევაა».

ლევან სონღულაშვილი ნიუ იორკის შტატის ასამბლეამ დააჭილდოვა მიღწევებისა და ხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის.

იოსებ ჟორჟოლიანი

განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიანტის იოსებ ჟორჟოლიანის მოსაზრება საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ, გამოცემა «EurasiaReview» გამოაქვეყნა.



სოფია დარასელია

ლიდის უნივერსიტეტის დეკემბრის ნიუსლეტერში გამოქვეყნდა ინფორმაცია განათლების საერთაშორისო ცენტრის სადოქტორო პროგრამის სტიპენდიანტ სოფია დარასელიასა და საქართველოში ჩატარებული კონფერენციის შესახებ. საუბარია მეოთხე საერთაშორისო კონფერენციაზე - „ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები“, რომელიც 2015 წლის 10-15 სექტემბერს ჩატარდა თბილისში. აღნიშნულ კონფერენციას მონაწილე მომხსენებლის სტატუსით ესწრებოდა ლიდის უნივერსიტეტის პროფესორი, სოფია დარასელიას სამეცნიერო ხელმძღვანელი სერგეი შაროვი (Serge Sharoff). ახალგაზრდა მეცნიერმა და პროფესორმა ერთად წარმოადგინეს ლიდის უნივერსიტეტში შექმნილი ქართული ენის ვებ-კორპუსი - KaWaC, რომელიც პირველი და ამავე დროს ერთადერთი ვებ-კორპუსია ქართული ენისათვის (KaWaC იშიფრება შემდეგნაირად: Ka = Kartvelian და WaC = Web as a corpus). KaWaC შეიქმნა ვებ-კორპუსების უახლესი მეთოდებისა და სტანდარტების შესაბამისად და ასახავს თანამედროვე, ცოცხალ ქართულ ენას. კერძოდ, ენის განვითარების ბოლო 10-15 წელიწადს. ქართული ენის ვებ-კორპუსი მოიცავს 150 მილიონზე მეტ სიტყვას და განთავსებულია ლიდის უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

ნიკა მელქაძე

განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიანტმა ნიკოლოზ მელქაძემ ტელდერის საერთაშორისო სამართლის იმიტირებულ პროცესში, გრონინგენის უნივერსიტეტის სახელით მიიღო მონაწილეობა. ნიკა და მისი გუნდი ნაციონალური რაუნდის გამარჯვებული გახდა!

ლევან ტიელიძე

განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიანტმა ლევან ტიელიძემ, შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი წიგნების - „საქართველოს გლაციოლოგიური კატალოგი“- პრეზენტაცია გამართა.

განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებული ლევან ტიელიძე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში პრემია „ნინანდლის“ გამარჯვებული გახდა!

ზურაბ კობახიძე

განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიანტმა ზურაბ კობახიძემ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ნიუ იორკში The Juilliard School - ის ორგანიზებით სოლო კონცერტი გამართა.

მარიამ მაჩაიძე

განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიანტი და The Juilliard School -ის მაგისტრი, მევიოლინე მარიამ მაჩაიძე სამშობლოს ეწვია. მან 18 ივნისს ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კამერულ დარბაზში მასტერკლასი გამართა.

ნატალია ქუთათელაძე

(Le) Poisson Rouge ნიუ იორკის მულტიმედიური არტკაბარეში საქველმოქმედო კონცერტი “ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის” გაიმართა, რომელშიც სხვა ქართველ მუსიკოსებთან ერთად განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიანტმა ნატალია ქუთათელაძემ (2016 წლის კონკურსის გამარჯვებული, სამაგისტრო პროგრამა, ხელოვნება, ჯულიარდის სკოლა) მიიღო მონაწილეობა.

თამარ ცანავა

განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიანტის თამარ ცანავას ნამუშევარი - Tesla Renewable Energy Tower- პოლანდიის დიზაინის კვირეულზე წარსდგა, როგორც საუკეთესო ნამუშევარი ეინდჰოვენის ტექნიკური უნივერსიტეტიდან. პოლანდიის დიზაინის კვირეული ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ღონისძიებაა ნიდერნალდებში, სადაც 10 დღის განმავლობაში გამოფენილია პოლანდიის მასშტაბით საუკეთესო ნამუშევრები დიზაინის სფეროში. მთავარი აქცენტი ინოვაციებსა და ახალ ხედვაზე კეთდება. თამარის ნამუშევარი 10 დღის განმავლობაში გამოფენილი იქნება პოლანდიური დიზაინის კვირეულის მთავარ დარბაზში.



გიორგი გაჩეჩილაძე

გიორგი გაჩეჩილაძე (Georges Dobrev- 2016 წლის კონკურსის გამარჯვებული, სამაგისტრო პროგრამა, ხელოვნება, საფრანგეთი). ცოტა ხნის წინ Lucifer's Monocle-მა - ავსტრალიურმა მედია პორტალმა გიორგის ფოტოპროექტის შესახებ სტატია «ID» გამოაქვეყნა.

გვიად აძინაბია

განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიანტის გვიად აძინაბიას პროფილი - ტაფტის უნივერსიტეტის ფლექჩერის დიპლომატიისა და სამართლის სკოლის ვებ გვერდზე განთავსდა.

ნინო კერასელიძე

ავტორიტერული გამომცემლობის Routledge-ის მიერ გამოქვეყნებულ საერთაშორისო რეფერირებული ჟურნალ Caucasus Survey-ში დაიბეჭდა ცენტრის პირველი ნაკადის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულის, სენტ ენდრიუს უნივერსიტეტის დოქტორის ნინო კერესელიძის სტატია “The Engagement Policies of the European Union, Georgia and Russia towards Abkhazia,” რომლის ეგზემპლარიც ნინომ საჩუქრად გადასცა საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკას.

განათლების საერთაშორისო ცენტრმა 2014-16 წლებში 270 სასწავლო სასწავლო სტიპენდია გასცა საზღვარგარეთ სწავლის მსურველ საქართველოს მოქალაქეებისთვის სამაგისტრო და სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად. მათმა ნაწილმა უკვე დაასრულა საზღვარგარეთ სწავლა, დაბრუნდა ქვეყანაში და მიღებული ცოდნის რეალიზებას საკუთარ ქვეყანაში განაგრძობს.

აქ ცენტრის სტიპენდიანტების მხოლოდ მცირე ნაწილი მოხვდა, რადგან მათ შესახებ ცალკე კრებულის გამოცემა იგეგმება. ასე რომ, გაგრძელება იქნება ...

მოახმარე შენი ყოფნა საქართველოს!

თბილისი, ინგოროყვას ქ. #7
info-iec@iec.gov.ge
iec.gov.ge
facebook.com/iec.gov.ge/
032 240 02 02